„საქართველოს უნივერსიტეტი“ – ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება და სწავლის უმაღლესი ხარისხი

„საქართველოს უნივერსიტეტი” არის ადგილი, რომელიც ქმნის და გადასცემს ცოდნას; ადგილი, სადაც მულტიკულტურულ გარემოში ყალიბდება ჰუმანური ღირებულებების მქონე მოაზროვნე, განათლებული პიროვნება, რომელიც შეგნებით და თავისუფლად უმკლავდება თანამედროვე სამყაროში არსებულ გამოწვევებს. რა გზა გაიარა მან ამ გამოწვევებამდე, რას მიიღებენ სტუდენტები უნივერსიტეტში სწავლისას, ამ და სხვა საკითხებზე ჩვენ უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ქალბატონი მანანა სანაძე გვესაუბრება.

– როდის ჩამოყალიბდა „საქართველოს უნივერსიტეტი” და რა არის მისი დეკლარირებული პრინციპები განათლების სისტემაში, მისი განვითარების გეგმა?

– 2014 წელს „საქართველოს უნივერსიტეტს” 10 წელი შეუსრულდა. ამ უმოკლეს ვადაში ჩვენი უნივერსიტეტი იქცა ხარისხიანი განათლებისა და აქტიური სტუდენტური ცხოვრების ცენტრად ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისათვის. დღიდან დაარსებისა, „საქართველოს უნივერსიტეტი” განვითარების რეჟიმშია და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ „საქართველოს უნივერსიტეტი” მონინავეა საგანმანათლებლო სივრცეში. ჩვენ მომავალშიც უზრუნველვყოფთ ჩვენს სტუდენტებს ყველაზე თანამედროვე და ყველაზე მაღალი ხარისხის განათლებით.

– რომელი ფაკულტეტებია უნივერსიტეტში და რა სპეციალობებს დაეუფლებიან სტუდენტები თქვენთან სწავლისას?

– „საქართველოს უნივერსიტეტი” მრავალპროფილური უნივერსიტეტია, სადაც ფუნქციონირებს 6 სკოლა: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; 2. სოციალურ მეცნიერებათა; 3. სამართლის; 4. ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის; 5. ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის; 6. ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლები, რომლებიც ჩაშლილია ვიწრო სპეციალობების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს უნივერსიტეტში პროფესიების დიდი არჩევანია, ამიტომ ჩვენს სტუდენტს შრომით ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად პროფესიებზე აქვს ხელმისაწვდომობა. ცნობილია, რომ ჩვენს კურსდამთავრებულებზე შრომით ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნაა და მოხარულები ვართ, რომ „საქართველოს უნივერსიტეტი” დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმაღლესი სტატისტიკით გამოირჩევა.

– როგორია თქვენს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი: რა სტანდარტებია, რითაა გამორჩეული, როგორ შეისწავლება საგნები და პრაქტიკული კურსი?

– განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ „საქართველოს უნივერსიტეტში” სტუდენტი იღებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ცოდნას. დღეს „საქართველოს უნივერსიტეტს” აქვს პატივი, ნებისმიერ სტუდენტს შესთავაზოს ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სადაც ადამიანი ხარისხიან განათლებასა და პრაქტიკულ უნარებს ეუფლება. „საქართველოს უნივერსიტეტი” გამორჩეულია იმით, რომ ჩვენი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უმაღლესი აკადემიური სტანდარტები და უნივერსიტეტშივე გამოცემული სახელმძღვანელოები. მიგვაჩნია, რომ პრაქტიკული ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, „საქართველოს უნივერსიტეტში” ყველა მიმართულებით ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, ლაბორატორიები, მაგალითად, „საქართველოს უნივერსიტეტის” უმაღლესი სტანდარტის სატელევიზიო სტუდია, სადაც მომავალი ჟურნალისტები მოღვაწეობენ; სიმულაციური სასამართლო დარბაზი მომავალი იურისტებისთვის; უცხო ენების ლაბორატორიები; სამედიცინო ლაბორატორიები; საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით არსებული თანამედროვე ლაბორატორიები, როგორიცაა UG ლემონდო, სადაც ჩვენი სტუდენტები თავად წერენ მობილურ აპლიკაციებს; ლიმესი, სადაც ისწავლება რობოტექნიკა და ასე შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ცოდნისა და უნარების შეძენის შედეგად ჩვენს სტუდენტს გარანტირებული აქვს წარმატებული კარიერა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო შრომით ბაზარზე. ჩვენი უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც სტუდენტური კლუბების ჩამოყალიბებასა და ინოვაციებს სერიოზულად ეწყობა ხელი. სპორტს რაც შეეხება, მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტში იხილავთ ღია და დახურულ სპორტულ მოედნებს, თანამედროვე სპორტულ დარბაზსა და ფიტნეს-კლუბს. ჩვენთან ყველას შეუძლია, იპოვოს საკუთარი თავი, გამოამჟღავნოს საკუთარი ინტერესები, ხორცი შეასხას საკუთარ ინიციატივებს და იცხოვროს ჯანსაღი წესით.

– უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამები უცხოეთში.

– „საქართველოს უნივერსიტეტი” მონაწილეობს ბოლონიის პროცესში და აღიარებულია ევროპაში. ის არის „ენიკ-ნარიკის” წევრი. ჩვენთან მოქმედებს „ერასმუს მუნდუსის” გაცვლითი პროგრამები, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, შეიძინონ გამოცდილება და ახლოს გაეცნონ სხვადასხვა ქვეყნის კულტურასა და ხალხს. „საქართველოს უნივერსიტეტი” აქტიურად მონაწილეობს „ტემპუსის პროგრამაში,” რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში. „საქართველოს უნივერსიტეტის” ათეულობით სტუდენტი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად მიემგზავრება უცხოეთში, წამყვან უნივერსიტეტებში. ახლაც კი ჩვენი სტუდენტების მორიგი ჯგუფი შესაბამისი დოკუმენტაციის მზადების პროცესშია.

– და, ბოლოს: რატომ უნდა გააკეთოს არჩევანი აბიტურიენტმა „საქართველოს უნივერსიტეტზე” და რითია განპირობებული უცხოელი სტუდენტების არჩევანი?

– უნივერსიტეტის შერჩევის პროცესში, თუ ეძებთ სწავლის უმაღლეს ხარისხსა და პრესტიჟულ დიპლომს, თანამედროვე ინფრასტრუქტურას, ხელმისაწვდომ ფასს, დასაქმების რეალურ პერსპექტივასა და დაუვიწყარ სტუდენტურ ცხოვრებას – თქვენი არჩევანია „საქართველოს უნივერსიტეტი.” რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტებს, ჩვენთან დივერსიფიცირებული, საერთაშორისო გარემოა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ტოლერანტობისა და ჰუმანიზმის ღირებულებებით და სწორედ საერთაშორისო გარემო აზიარებს თითოეულ სტუდენტს ამ ღირებულებებსა და ფასეულობებს. ჩვენი უნივერსიტეტის მოთხოვნას საერთაშორისო ასპარეზზე განაპირობებს მაღალი დონის ინგლისურენოვანი პროგრამები. ჩვენ არ ვასხვავებთ ქართველ და უცხოელ სტუდენტებს, პირიქით, ვნერგავთ თანასწორ მიდგომებს და უცხოელებისთვის მეგობრულ გარემოს, რაზეც მეტყველებს საერთაშორისო სტუდენტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არსებობა, რომელიც ზრუნავს უცხოელ სტუდენტებზე; საერთაშორისო სტუდენტებზე მორგებული ოფიციალური ვებ-გვერდი; ვებ-გვერდზე არსებული ორენოვანი ონლაინ ჩეთი და ასე შემდეგ.

– რას გვეტყვით უნივერსიტეტთან არსებულ სკოლასა და საბავშვო ბაღზე, რითია ისინი გამორჩეული?

– ჩვენი მთავარია მიზანია, პატარაობიდანვე ვიზრუნოთ ბავშვის სწორ აღზრდასა და განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, გაჩნდა იდეა, შეგვექმნა უნივერსიტეტთან არსებული ბაღი და სკოლა. საქართველოს უნივერსიტეტის „ოუჯი სკოლა” დღესდღეობით აღიარებულია როგორც ყველაზე მოთხოვნადი სკოლა საქართველოში. მისი მიზანია, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით აღზარდოს განათლებული, წარმატებული და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობა. ჩვენს სკოლაში მიღებული ცოდნით მოსწავლეებს ექნებათ კულტურული ღირებულებების შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მათ წარმატებას. რაც შეეხება ჩვენს ბაღს, თავისთავად ცხადზე – საუკეთესო პირობებზე აღარ ვისაუბრებ, ვინაიდან, ხაზი მინდა გავუსვა ყველაზე მთავარს: „საქართველოს უნივერსიტეტის” საბავშვო ბაღი არის ადგილი, სადაც პატარებზე თვალის ჩინივით ზრუნავენ. დამეთანხმებით, სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

ანა თაბაგარი